




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### „ვარდნილქესების კასკადი“



#### „ვარდნილქესების კასკადი“

(შპს), ვარდნილქესები, შედის ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის შემადგენლობაში. ოთხი (ვარდნილქესი-I, ვარდნილქესი-II, ვარდნილქესი-III, ვარდნილქესი-IV), შედარებით ნაკლები სიმძლავრის ჰესის მდებარეობს გალის მუნიციპალიტეტში. აშენებულია ენგურჰესის გამომყვან არხზე, მდ. ენგურის ძირითადი ჩამონადენის გადაგებით მდ. ერისწყლის კალაპოტში. საერთო საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 340 მეგვტ, ხოლო ელექტროენერჯიის საშ. წლიური საპროექტო გამომუშავება – 1111 მლნ. კვტ.სთ. ვარდნილქესი-I ექსპლუატაციაში შევიდა 1971. მდებარეობს მდ. ერისწყალზე, ქ. გალის ჩრდ-ით. ჰესის ძირითადი ნაგებობებია: ადგილობრივი მასალებისაგან აშენებული კაშხალი (სიგრძე – 890 მ, სიმაღლე – 57,5 მ, სიგანე თხემზე – 10 მ); კაშხალთან მიმდებარე მიწისზედა ჰესი, სამშ. გვირაბი, რ-ის სიგრძეა 517,5 მ, წყალმიმღები და წყალსაშვი ნაგებობანი, გამომყვანი არხი, 110 კვ და 220 კვ ძაბვის ქვესადგური. ვარდნილქეს-I-ში დადგმულია 3 ვერტ. ჰიდროაგრეგატი, საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 220 მეგვტ, მაქს. დაწნევა – 64,5 მ, ელექტროენერჯიის საშ. წლიური საპროექტო გამომუშავება – 730 მლნ. კვტ.სთ. ვარდნილქესი-II,-III,-IV, მდებარეობს ვარდნილქეს-I-ის ქვემოთ (შესაბამისად 5,5; 10,1 და 14,9 კმ-ზე).

ექსპლუატაციაში შევიდა 1971–72 წლებში. სამივე ჰესს ერთნაირი დანნევა აქვს (11,2 მ). თითოეული ჰესი შედგება ორ-ორი ჰორიზონტ. კაფსულური ტიპის ჰიდროაგრეგატისაგან. სამივე ჰესის ჯამური სიმძლავრეა 120 მეგვტ (თითოეულის 40–40 მეგვტ), ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება – 381 მლნ. კვტ.სთ (თითოეულის 127 მლნ. კვტ.სთ). ვარდნილჰესებმა გამოიმუშავეს ელექტროენერგია (მლნ. კვტ.სთ): 1971 წ. – 23,0; 1975 წ. – 33,5; 1980 წ. – 830,2; 1985 წ. – 706,0; 1990 წ. – 643,6; 1995 წ. – 363,4; 2000 წ. – 487,5; 2005 წ. – 425,0; 2010 წ. – 717,3; 2013 წ. – 648,8. 1999 წ. 29 დეკემბრიდან ვარდნილჰესების ბაზაზე შეიქმნა შპს „ვ. კ.“

**დ. ჩომახიძე**

---